„სამოციანელთა“ ფერწერული ტილოები აჭარის ხელოვნების მუზეუმიდან

რატი ჩიბურდანიძე
ხელოვნების თეორიისა და ისტორიის აკადემიური
დოქტორი; ბათუმის ხელოვნების
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ელ. ფოსტა: ratichib@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0008-7367-0765

აბსტრაქტი. აჭარის ხელოვნების მუზეუმი თანამედროვე ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. მის ფონდებში დაცული ექსპონატები ქმნის სოლიდურ კოლექციას, რომელიც იძლევა ნათელ წარმოდგენას XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების ძირითად ეტაპებზე. ამ მრავალფეროვან კრებულში თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია „სამოციანელთა“ შემოქმედებითი თაობის გამორჩეულ წარმომადგენელთა ფერწერულ ნიმუშებს, რომლებიც მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაშია გამოფენილი, ეს მხატვრებია: ზურაბ ნიჟარაძე, ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი, გივი თოიძე, რადიშ თორდია და კოკი მახარაძე.

საკვანძო სიტყვები: „სამოციანელები“; მხატვრული ენის განახლება; ხატოვანი აზროვნება.

***

შესავალი. როგორც ცნობილია, 1950-60-იანი წლების მიჯნაზე შემოქმედებით ასპარეზზე ახალგაზრდა მხატვართა მთელი პლეადა გომოდის, რომელიც თამამად არღვევს ფორმალურ ძიებებზე დადებულ ტაბუს და ავლენს ამ პერიოდის ხელოვნების საერთო ტენდენციას - მხატვრული ენის განახლებისაკენ ლტოლვას. ეს ავტორები უპირატესად კოლორისტული ამოცანების გადაწყვეტით არიან დაინტერესებულნი, რაც ფერწერის სახვით-დეკორატიული საშუალებების, ფერის თავისთავადი თუ სახვითი თვისებების ხაზგასმას ემსახურება. ყოველივე ამან შედეგად მათ შემოქმედებაში მყარი, გააზრებული ფერადოვანი სისტემის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი. „სამოციანელები“ დიდ ყურადღებას უთმობენ ფორმას, როგორც სურათის მხატვრულ-სახეობრივი სტრუქტურის გამოვლენის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას. სხვადასხვა მხატვრული პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომა, სამყაროს უშუალო, ინდივიდუალური აღქმა, ხატოვანი აზროვნება ამ ოსტატთა ინტერესების ძირითად სფეროს განსაზღვრავს.

მეთოდები. წარმოდგენილი საკითხის კვლევის მიზნით ნაშრომში გამოყენებულია სამეცნიერო ლიტერატურის ურთიერთშეჯერებაზე დაფუძნებული და კონკრეტული მხატვრების აღნიშნული ნიმუშების მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი ანალიზის მეთოდი.

მსჯელობა. ზურაბ ნიჟარაძე ღრმა და დახვეწილი ხელოვანია, რომელსაც მაღალი მხატვრული და პროფესიული კულტურა, თავისებური და საინტერესო აზროვნება გამოარჩევს. მხატვრის შემოქმედება მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ფერწერის განვითარებაში. მისი თამამი ფერადოვანი შეხამებებით შესრულებული ტილოები - თანამედროვეთა პორტრეტები, ნატურმორტები, შიშველი ნატურა თუ თემატური კომპოზიციები დამთვალიერებლის წინაშე ერთიან სისტემად, ინდივიდუალურ სამყაროდ გარდაიქმნება. ზ. ნიჟარაძე კოლორიტის ფაქიზი გრძნობით გამოირჩევა, იგი დიდ ყურადღებას აქცევს ფერადოვან გამას, ფერწერულ ეფექტებს. მხატვრის საყვარელი ფერებია: წითელი, ლურჯი, ყვითელი, მწვანე. მდიდარ ფერადოვნებასთან ერთად მის ნამუშევრებს ახასიათებს ექსპრესიული ფაქტურა, მსუყე, პასტოზური მონასმი. ნაწარმოებებში ფერი ციმციმებს, ანათებს, მაჟორულ ჟღერადობას იძენს. ზ. ნიჟარაძის სურათებში ფერი ფორმის გამოვლენის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს, სწორედ ფერთა

ინტენსივობაზე აგებული შეხამებებით აღწევს მხატვარი მისთვის დამახასიათებელი მოცულობითი ფორმის გადმოცემას. ზ. ნიჟარაძის ფერწერული ტილო „ქალი ძაფის გორგლებით“ (ტილო, ზეთი. 81X60. 1991) შიშველი ნატურების ციკლის ერთ-ერთი მომხიბლავი ნიმუშია, იგი გამოირჩევა დახვეწილი ფერადოვნებით, ჟღერადი კოლორიტით, რომანტიკული განწყობილებით. სურათზე გამოსახულია ფეხმორთხმით მჯდომი ფიგურა, რომელსაც ზეაწეულ ხელებში ძაფის გორგლები უჭირავს, სხვადასხვა ფერის ბურთულები განთავსებულია მის ფერხთითაც, რითაც კომპოზიცია გარკვეულ დინამიკურობას იძენს. ნამუშევრის ფონი მომწვანო, მოცისფრო, მოყვითალო ფართო მონასმებით იქნება, რაც სურათს თავისებურ სივრცობრიობას და ჰარმონიულ მთლიანობას ანიჭებს. 1980 წლით თარიღდება ზ. ნიჟარაძის ფერწერული ტილო იგივე სახელწოდებით. ამ ნაწარმოების კომპოზიცია ფაქტობრივად იდენტურია ხელოვნების მუზეუმში დაცული ნიმუშისა. აღსანიშნავია რომ ზ. ნიჟარაძე, როგორც იმპროვიზატორი, არაერთხელ უბრუნდება თავის ცნობილ მოტივებს, ესაა ერთგვარი საავტორო ვარიაციები ისეთ თემებზე, როგორიცაა: „ქალი თუთიყუშით“, „რომაული სცენები“ და ა. შ.

ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ხელოვანის მრავალმხვრივი შემოქმედება სხვადასხვა სფეროს მოიცავს. იგი ერთნაირი წარმატებით ქმნიდა როგორც მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ისე დაზგური ფერწერისა და გრაფიკის ნიმუშებს, ასრულებდა ილუსტრაციებს, მუშაობდა თეატრსა და კინოში. საინტერესოა, რომ დროთა განმავლობაში ნ. იგნატოვის შემოქმედებაში მისთვის დამახასიათებელი „ტრადიციული“, ინდივიდუალური მანერის პარალელურად ვლინდება თანამედროვე ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ტენდენციები. ასეთია ჯერ კიდევ 1970-იან წლებში შესრულებული დეკორაციები საბალეტო სპექტაკლებისათვის: „ორესტეა“, „წვრილმანები“ (მოცარტის მუსიკაზე), „ჩაკონა“ (ბახის მუსიკაზე) და ა.შ., რომლებსაც ერთგვარი სიურრეალისტური ელფერი დაჰკრავს. გარკვეული კონცეპტუალური მიდგომა იკითხება ავტორის მიერ 1990-იან წლებში ნატურალისტურად შესრულებულ სერიაში „ქვები“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მუზეუმში დაცული პანო "მხატვრის სახელოსნოში" (ტილო, აკრილი. 150X250. 1997), რომელიც ავტორისათვის დამახასიათებელი ხატოვანებით, სტილიზაციით, ხაზგასმული დეკორაციულობით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოებში ერთმანეთს ორგანულად ერწყმის დაზგური ფერწერის და კედლის მხატვრობის პრინციპები. ნამუშევრის წინა პლანზე გამოსახულია რეალისტურად შესრულებული პალიტრა, საღებავის ქილები და სხვა სამხატვრო ინვენტარი, სურათის ცენტრში დგას ნატურალისტურად დაწერილი მოლბერტი რომელზეც ჯერ კიდევ დაუხატავი თეთრი ტილოა დამაგრებული, მოლბერტის უკან კი ზემოდან დანახული, „აყირავებული“ მრგვალი მაგიდაა, რომელზეც მწვანე ვაშლია მოთავსებული, სწორედ ეს ფრაგმენტი გადმოაქვს მხატვარს ჯერ კიდევ დაუსრულებელ ტილოზე. კომპოზიციის უკანა პლანზე განზოგადებულად დაწერილი სცენებია წარმოდგენილი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, ხალხის ყოფა-ცხოვრებას და ფოლკლორულ მოტივებს ასახავს. ყოველივე ეს მთლიანობაში ქმნის ორიგინალურ სიუჟეტურ თხრობას ადამიანის, ბუნების, სამშობლოს თემაზე. ნ. იგნატოვი იმ მხატვართა რიგს განეკუთვნება, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად შექმნა ახალი ეპოქა და აღმოაჩინა თავისი სამყარო - მონუმენტური, განზოგადებული, აბსტრაჰირებული. მის საუკეთესო ქმნილებებში, თანადროულ დასავლურ ტენდენციებთან ერთად, მკაფიოდ გამოვლენილი ეროვნული საწყისებია წარმოჩენილი.

გივი თოიძის მრავალფეროვანი შემოქმედების ძირითადი თემატიკაა: ძველი თბილისი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები, ჟანრული სცენები. მისი ნამუშევრები გამოირჩევა ინტენსიური კოლორიტითა და ზედმიწევნით გამომსახველი ფერწერული ფაქტურით. ხელოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველი თბი-

ლისის თემას, რომელსაც მხატვარი განსაკუთრებული სითბოთი და ლირიზმით გადმოსცემს, ასეთია მუზეუმში გამოფენილი ტილო „ძველი თბილისი, მეჩეთი“ (ტილო, ზეთი. 100X120. 1993), რომელზეც გამოსახულია ძველი თბილისის კოლორიტული კუთხე - აბანოთუბანი. ნაწარმოები მკაფიოდ იყოფა ორ პლანად - წინა პლანზე მოცემულია ერთმანეთთან მიჯრით მდგომი ერთ ორ და სამსართულიანი ძველებური აივნიანი და შუშაბანდიანი სახლები, მეჩეთის მონუმენტური მინარეთი, რომელთა დიაგონალური თუ ვერტიკალური ხაზები კომპოზიციას დინამიკურობას ანიჭებს. სურათის ქვედა მარჯვენა კუთხეში წარმოდგენილია ჭრელი კაბებით მოსილი ქალთა ფიგურები, რასაც აქ ცოცხალი იმპულსი შემოაქვს - მარცხნივ, პროფილში მდგომ ქალს მხარზე ფიჩხის კონა აქვს შემოდებული, შუა და მარჯვენა პერსონაჟები კი ერთგვაროვან პოზებშია გამოსახული. კომპოზიციის მარჯვენა კიდის მთელ ვერტიკალს დიდი, ნახევრად ფოთლებშემოძარცვული ხე იკავებს, რომელიც თავისებურად კრავს და აერთიანებს კიდეც სურათის სივრცობრივ სტრუქტურას. ამ მიმზიდველ ლანდშაფტს აგვირგვინებს უკანა პლანზე წარმოდგენილი ნარიყალას ციხე მძლავრი კოშკებით და დიდებული გალავნით. გ. თოიძე თბილისისა და საქართველოს ისტორიის თავისებური მემატიანეა, რადგან მის ნამუშევრებში ასახული მრავალი ხედი დღეს სამწუხაროდ აღარ არსებობს.

რადიშ თორდიას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თავისებური ლირიზმით გამსჭვალულ ქალთა პორტრეტებს და ჟანრულ სცენებს, რომლებიც დახვეწილი ფერადოვნებით და პოეტური განწყობილებით ხასიათდება. მხატვრის კომპოზიციები ლაკონიურად არის აგებული, რომლებშიც ნათლად იკითხება სურათის სიბრტყობრივ-რიტმული საწყისი თუ ფერთა გამის გარკვეული პირობითობა. ფერწერული სურათი - „ქალიშვილი თეთრში“ (ტილო, ზეთი. 79X75. 1992) თბილი, ქრომატული კოლორიტით გამოირჩევა. 3/4 ბრუნით წარმოდგენილი პერსონაჟის მჯდომარე ფიგურა, რომელსაც ხელში ფრთაგაშლილი ჩიტი ჰყავს, თითქოს საკუთარ ფიქრებშია ჩაძირული, მისი სადა „თეთრი“ კაბა მოცისფრო-მოლურჯო, მოყვითალო-მოვარდისფრო ლაქებით არის დამუშავებული ისე, რომ მოდელი თითქოს ფერადოვან ბურუსშია გახვეული, ამ შეგრძნებას აძლიერებს ნამუშევრის სადა ფონიც. აღსანიშნავია, რომ 1988 წელს რ. თორდიას შესრულებული აქვს აბსოლუტურად იდენტური ნაწარმოები ამ მოტივზე, მის ფუნჯს ეკუთვნის სხვადასხვა დროს შესრულებული მსგავსი კომპოზიციები უმნიშვნელო განსხვავებებით: „გოგონა ვარდისფერი ჩიტით“ (1987), „ლოდინი“ (1988), „მელანქოლია“ (1997) და სხვ., რომლებიც მაყურებელში გარკვეულ რომანტიკულ და სიმბოლურ შეგრძნებებს ბადებს. ამ მეთოდით რ. თორდია მიმართავს არაერთხელ განცდილი თემის პერიფრაზირებას, სადაც ამგვარი იდილიური სიუჟეტებისადმი მისი პიროვნული, ჰუმანისტური დამოკიდებულება იკითხება.

კოკი მახარაძე „სამოციანელთა“ თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ორიგინალური ხედვის მქონე შემოქმედია, რომლის ნამუშევრების მხატვრულ ენას ფორმის განზოგადება, ფერის სახვით-დეკორატიული ჟღერადობის სიმძაფრე და მონასმის ექსპრესიულობა განსაზღვრავს. დროთა განმავლობაში მისი ხელწერა გარკვეულ ცვლილებებს განიცდის კერძოდ, თუკი 1950-60-იან წლებში ხელოვანის ინტერესი „დიდი თემატური სურათის“ შექმნასა და მონუმენტური ფორმის დაზგურ ფერწერაში დამკვიდრების მცდელობით არის განპირობებული, რაც ამავდროულად ამ პერიოდის ქართული მხატვრობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, შემოქმედების გვიან ეტაპზე ავტორის ინტერესი უპირატესად სურათის სახვით-პლასტიკური გამომსახველობისა და სიუჟეტის მაქსიმალურად ემოციური ჟღერადობის გამოვლანას ემსახურება. სწორედ ამ ნიშნებით ხასიათდება კ. მახარაძის ფერწერული ტილო „კომპოზიცია ისტორიულ თემაზე“ (ტილო, ზეთი. 60X70. 1986), რომელიც ხელოვნების მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციას ამშვენებს. სურათზე გამოსახულია მრავალფიგურიანი დინამიკური სცენა, ნამუშევრის წინა პლანზე, ცენტრში, წარმოდგენილია რკალისებურად ჩამწკრივებული ხუთი პერსონაჟი, პოზებიდან და ჟესტებიდან გამომდინარე ისინი

თითქოს ბედს შეგუებულნი ტყვეობისთვის არიან განწირულნი. მარჯვენა ქვედა კიდეში მოცემულია წითელი ლაბადით მოსილი დაჩოქილი ქალბატონი, იგი მის გვერდით დაცემულ ქალს ეხმარება. წარმოდგენილი ადამიანების ჯგუფს ალყაში აქცევს ორი მხედარი, რომლებიც გაშმაგებით მოაჭენებენ ცხენებს. ნამუშევრის დრამატიზმს კიდევ უფრო ამძაფრებს დაძაბული მუქი კოლორიტი, ფიგურების ექსპრესიული გამომსახველობა და თავისუფალი, პასტოზური მონასმებით შესრულებული ავისმომასწავებელი ფონი. ნიშანდობლივია, რომ აქ სურათის პირობითი სახელწოდება არ იძლევა მისი შინაარსის ზუსტი ინტერპრეტაციის საშუალებას, მაგრამ მხატვრულ-სტილისტური თუ ზოგიერთი კომპოზიციური დეტალის გათვალისწინებით იგი იწვევს გარკვეულ ასოციაციას კ. მახარაძის ცნობილ ბატალურ პანოსთან „კრწანისის ბრძოლა“, რომელიც 1983 წელს არის შესრულებული, შესაძლოა ეს ტილოც ამ მოტივით იყოს შთაგონებული.

დასკვნა. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „სამოციანელებმა“ დაარღვიეს ფორმალური ძიებების აკრძალვა. ეს მხატვრები საერთო ამოცანებს ისახავდნენ, მაგრამ მათ განვითარების საკუთარი გზა გაიარეს და შექმნეს ნაწარმოებები, რომლებიც მკაფიოდ ასახავენ თითოეული მათგანის შემოქმედებით მრწამსს. 1950-60-იან წლებში მომხდარმა არსებითმა ძვრებმა, რითაც იმ დროის კულტურული ცხოვრების ყველა სფერო აღინიშნა, განაპირობა მხატვრული გამომსახველობის ახალი ხერხების დამკვიდრება, რაც ხელოვანის თვითმყოფადობის გამოვლენის ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა. სახვით ხელოვნებაში ნათლად გამოიკვეთა მხატვართა მისწრაფება განზოგადებული სახეების შექმნისა და სამყაროს ხატოვან-ესთეტიკური აღქმისაკენ. ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლები თავიანთ ნამუშევრებში მთელი სისავსით ავლენდნენ საკუთარ მსოფლშეგრძნებას, გამოხატავდნენ საკუთარ დამოკიდებულებას გარემომცველი სამყაროს მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ოცხელი, ი. (2002). *„გივი თოიძის შემოქმედება“, სამხატვრო ალბომი გივი თოიძე.* თბილისი: ომეგა თეგი.

ქარაია, ი. (2010). *„რადიშ თორდია“, სამხატვრო ალბომი რადიშ თორდია.* თბილისი: მაგთიკომი.

შერვაშიძე, ნ. (2011). *"დრო და შემოქმედი“, სამხატვრო ალბომი კოკი მახარაძე.* თბილისი: მაგთიკომი.

ჯანბერიძე, ნ. (1989). *ძიება და ტრადიცია.* თბილისი: მეცნიერება.

Зингер, Е. (1985). *„Зураб Нижарадзе“.* Москва: Советский Художник.

Толстой, В. (1982). *„Николай Игнатов“.* Москва: Советский Художник.

საილუსტრაციო მასალა

ზურაბ ნიჟარაძე

„ქალი ძაფის გორგლებით“

1991

1980



„ქალი თუთიყუშით“ 1974



„რომაული სცენა“ 1968

ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი

„მხატვრის სახელოსნოში“ 1997

დეკორაციის ესკიზები საბალეტო სპექტაკლისათვის „წვრილმანები“ 1975

სერიიდან „ქვები“ 1990-იანი წწ.

გივი თოიძე

ძველი თბილისი, მეჩეთი 1993

ნარიყალა 1992



რადიშ თორდია

„ქალიშვილი თეთრში“

1992

1988

მელანქოლია 1998

გოგონა ვარდისფერი ჩიტით 1987

კოკი მახარაძე

„კრწანისის ბრძოლა“ 1983

„კომპოზიცია ისტორიულ თემაზე“ 1986